



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

ქ. ოზურგეთი

1 აპრილი 2015 წელი

დადგენილება №20

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული დოკუმენტების ტიპიური ფორმებისა და მშენებლობის სანებართვო მოწმობის აღრიცხვა – ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართელობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის VI და VII თავების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის მე-2 პუნქტის „შ“ ქვეპუნქტისა და №2 დანართის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დაადგინა

1. დამტკიცდეს მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (თანახმად №1 დანართისა).
2. დამტკიცდეს მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპიური ფორმა (თანახმად №2 დანართისა).
3. დამტკიცდეს უწყებრივი სანებართო რეესტრის ტიპიური ფორმა (თანახმად №3 დანართისა).
4. დამტკიცდეს მშენებლობის სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ტიპიური ფორმა (თანახმად №4 დანართისა).
5. დამტკიცდეს გამოსაყენებლად უვარგისი მშენებლობის სანებართვო მოწმობის ჩამოწერის აქტის ტიპიური ფორმა (თანახმად №5 დანართისა).
6. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული დოკუმენტების ტიპიური ფორმებისა და მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 26 სექტემბრის №34 დადგენილება.
7. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია

მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესი

მუხლი 1

აღნიშნული წესი შემუშავებულია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებისა (შემდგომში - „დადგენილება“) და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების წესის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების (შემდგომში - „ბრძანება“) საფუძველზე.

მუხლი 2

1. პოლიგრაფიული საწარმო ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ახდენს მკაცრი აღრიცხვის ფორმის მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის სტამბური წესით ბეჭდვას (შესაბამისი დამცავი ნიშნების გათვალისწინებით).

2. პოლიგრაფიული საწარმოს მიერ სტამბური წესით დაბეჭდილი ფორმის –მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის ჩაბარების უფლება აქვს საამისოდ მინდობილობით აღჭურვილ პირს.

3. მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმებს მიღება ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი ინახავს დაზიანებისა და გარეშე პირთაგან სათანადოდ დაცულ სათავსში.

მუხლი 3

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი დადგენილების შესაბამისად ავსებს მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმას და დასამტკიცებლად წარუდგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილეს.

2. მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმა გაიცემა მათ მიღება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალში შესაბამისი აღნიშვნისა და ხელმოწერების შემდეგ.

მუხლი 4

1. მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის მიღება, აღრიცხვა შენახვა და გაცემა ხორციელდება ამ წესის შესაბამისად. მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის მიღებისა და გაცემის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების შემოსავლისა და გასავლის ჟურნალში.

2. მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალი უნდა იყოს სათანადო წესით დანომრილი, აკინძული ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული.

3. მშენებლობის სანებართვო მოწმობის გამოყენებული და გაფუჭებული ფორმები ბარდება მათ მიღება – ჩაბარებაზე პასუხისმგებელ პირს, რის შესახებაც ჟურნალში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

4. მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის გაფუჭებისა ან/და დაზიანების შემთხვევაში შესაბამისი პირი სანებართვო მოწმობის ფორმას თან ურთავს ახსნა განმარტებით ბარათს, რაზედაც დგება სათანადო აქტი.

5. გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერა შეიძლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) ფორმების ფიზიკური დაზიანების გამო

6. გამოსაყენებლად უვარგისი ფორმების უტილიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5

„მკაცრი აღრიცხვის ფორმის შესახებ“ საქართველოს კანონის, ბრძანების, დადგენილებისა და წინამდებარე წესის დამრღვევი პასუხს აგებს საქართველო კანონმდებლობით დადგენილი წესით.



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მშენებლობის სანებართვო მოწმობა N -----

1. ობიექტის ადგილმდებარეობის მისამართი:

2. მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მონაცემები, საკადასტრო კოდი:

3. ნებართვის მფლობელი (საიდენტიფიკაციო მონაცემები):

4. მშენებლობის ნებართვის გაცემის თარიღი: _____

5. მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა: _____

6. მშენებლობის ნებართვის ვადის დინების დაწყების თარიღი: _____

7. შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება და გამოყენების მიზანი: -----

8. მშენებლობის პროცესის განხორციელების (ზედამხედველობის) ეტაპები:

9. შენობა-ნაგებობის კლასი: _____

10. შენობა-ნაგებობის კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები

მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია:

- ა) აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;
- ბ) აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დაცვით;
- გ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;
- დ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით;
- ე) სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული მშენებლობის ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ განსაზღვრული წესით შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმი (გარდა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობით 1500მ²-მდე და მიწის ზედაპირიდან 14 მ-მდე სიმაღლის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა);
- ვ) უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

ზ) ახალი მშენებლობისა და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან _____ ვადამი შენობა-ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისათვის.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევისას ნებართვის მფლობელს დაეკისრება საქართველოს კანონით, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“, გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

11. მშენებლობის ნებართვის გაცემის სამართლებრივი საფუძველი: _____

12. საექსპერტო ორგანოს დასკვნა (კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში):

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

	ბ. ა.	ხელმოწერა	სახელი, გვარი
დამკვეთი:			
დამამზადებელი:			
სფს-ს რეგისტრაციის №			

უწყებრივი საწარმო რეესტრი

N	საწარმოს მფლობელის N°	წარმოების თარიღი	წარმოების ცვლილების თარიღი	წარმოების გაუქმების თარიღი	წარმოების გამცემის იურიდიული მისამართი	მონაცემები წარმოების მფლობელის შესახებ: სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე - ინდივიდუალური მეწარმისათვის ან იურიდიული პირისათვის (სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნისათვის);	მონაცემები წარმოების მფლობელის შესახებ: სახელის, გვარის, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების თაობაზე - ფიზიკური პირისათვის	წარმოების მფლობელის საფირმო სახელწოდება (სახელი, გვარი) ორგანიზაციული- სამართლებრივი ფორმა	ინფორმაცია წარმოების მფლობელის მისამართის შეცვლის ან რეორგანიზაციის შესახებ

მშენებლობის სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალი

N	გაცემის თარიღი	სანებართვო მოწმობის N	სანებართვო მოწმობის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი				სანებართვო მოწმობის მიმღები პირი				შედგენილი სანებართვო მოწმობის #N	სანებართვო მოწმობის შემდგენელი პირი					
			გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა		გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა		

გამოსაყენებლად უვარგისი მშენებლობის სანებართვო მოწმობის ჩამოწერის აქტი N

ქ. თბილისი

_____ 20__ წელი

სანებართვო მოწმობის N	რაოდენობა	თარიღი	ჩამოწერის საფუძველი	შენიშვნა

აქტის მიხედვით წარმოდგენილი გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ჩამოწერას ვადასტურებთ ხელმოწერით:

მშენებლობის სანებართვო მოწმობის
შემდგენელი პირი - _____

მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი _____